



წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

N 36 1

განკარგულება

31/01/2020

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მეოთხე კვარტლის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მეოთხე კვარტლის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ (თან ერთვის).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის 'ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 ივლისის №26 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მეოთხე კვარტლის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ.

2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრადის ქ. №11).

პაატა ახალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



**სარეზერვო ფონდის განკარგვასთან დაკავშირებით
2019 წლის მეოთხე კვარტლის ანგარიში**

მოგესხენებათ, ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დასაფინანსებლად საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის საფუძველზე იქმნება სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების მთლიანი ოდენობის არაუმეტეს 2%-ია.

სარეზერვო ფონდიდან თანხას განკარგავს ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი - მერი, რომელიც გამოსცემს სამართლებრივ დოკუმენტს თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, ხოლო თანხის გაცემას უზრუნველყოფს საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური.

სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა ხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფიზიკური პირიდან შემოსული განცხადებების საფუძველზე. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური წარმოდგენილი მასალებზე დაყრდნობით აკეთებს შესაბამის დასკვნას. წარმოდგენილი დასკვნა განიხილება სარეზერვო ფონდიდან თანხის განკარგვის მიზნით შექმნილ კომისიაზე, რომელსაც თავმჯდომარეობს მუნიციპალიტეტის მერი. კომისია ღებულობს გადაწყვეტილებას თანხის ოდენობის შესახებ, ხოლო მუნიციპალიტეტის მერი შესაბამის თანხაზე გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ დოკუმენტს.

2019 წლის ბიუჯეტის გეგმით სარეზერვო ფონდი განსაზღვრული იქნა 125 000 ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 118 640 ლარი.

2019 წლის IV კვარტალში ბიუჯეტის გეგმით სარეზერვო ფონდი განსაზღვრული იქნა 25 000 ლარით, ხოლო საკასო შესრულებამ IV კვარტალში სულ შეადგინა 18 940 ლარი. აღნიშნული თანხიდან გამოყოფილი იქნა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დაავადებულ პირთა მედიკამენტოზური მკურნალობისათვის 17540 ლარი, სპორტსმენების საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობისათვის - 400 ლარი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული გზების მოვლა-პატრონობისთვის - 1000 ლარი.

მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის ხარჯვის ყველა ეტაპზე დაცულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 67-ე მუხლის მოთხოვნები.

პაატა ახალაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მ.შ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

